2024-2025 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2024-2025 - სასწავლო წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვიტარების გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა პროფესიული განათლების განვიტარება და გაძლიერება. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა 1019-2025 სასწვლო წლის სამოქმედო გეგმით.

სამოქმედო გეგმით გაწერილია დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

➢ ამოცანა - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება ახალქალაქში და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

➢ აქტივობა- პროფესიული განათლების მიმართულებით სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება;

➢ ამოცანა -უნივერსიტეტის სტრუქტურასა და რეგულაციებში პროფესიული განათლების ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად

➢ აქტივობა-პროფესიული განათლების წესებისა და რეგულაციების დანერგვის ხელშეწყობა;

დამტკიცებული ახალი ახალი საშტატო განრიგი.

დამტკიცდა ახალი რეგულაციები პროფესიული განათლების კანონმდებლობის შესაბამისად.

საჭიროებიდან გამომდინარე ეტაპობრივად აიასხა ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურასა და რეგულაციებში განათლების კანონმდებლობის შესაბამისად.

➢ ამოცანა-პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო/გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება

➢ აქტივობა - ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება , მათ შორის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის.

2026 წელს იწურება ავტორიზაციის ექვსწლიანი ვადა, საავტორიზაციო განაცხადის შეტანის ვადად განისაზღვრა 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდი. შესაბამისად, უნივერსიტეტი მორიგი რეავტორიზაციის მზადებაშია, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ანგარიშისა და სარეავტორიზაციოდ მასალებისა და მტკიცებულებების შეგროვება

აქედან გამომდინარე დაიწყო მზადება თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისათვის, მიმდინარეობს მტკიცებულებების შეგროვება.

2024 – 2025 საწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტი გეგმავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და უფლების მოპოვებას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ფარმაცია-სააფთიაქო პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის საავტორიზაციოდ მოსამზადებლად.

ასევე განაცხადის გაიგზავნა პროფ.გადამზადების პროგრამის ,, სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა’ ფარგლებში პროფესიული უნარების სააგენტოდან დაფინანსების მოთხოვნის შესახებ.

➢ აქტივობა - უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით პროფესიული განათლების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სხვა საინფორმაციო რესურსების ეფექტიანობის გაზრდა

უნივერსიტეტი აქტიურად აშუქებს, როგორც სოციალური ქსელში ასევე უნივესსიტეტის გაზეთის მშვეობით ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ

➢ ამოცანა - პროცესების გაუმჯობესება ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციისათვის

➢ აქტივობა - ახალი კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების მდგრადი სისტემის შექმნა;

პროგრამების ფარგლებში შერჩეულ კადრებს ჩაუტარდა ინდივიდუალური კონსულტაციები ხარისხხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, ადამიანური რესურსების სამსახურში ასევე ინდივიდუალურად განემარტათ თანამშრომლობის პირობები, გარემოებები.

უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვას, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების ხარისხის იდენტიფიცირება. ანალიზდება კვლევის შედეგები შემდგომი რეაგირების მიზნით.

➢ ამოცანა - საგანმანათლებლო გარემოს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/გაუმჯობესება და თანამედროვე პროფესიულ სტანდარტებთან მისადაგება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

➢ აქტივობა - საბიბლიოთეკო რესურსის გამრავალფეროვნება და გაციფრულება;

➢ აქტივობა- პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების ინფორმირება ხელმისაწვდომ საბიბლიოთეკო რესურსებზე;

➢ აქტივობა- აუდიტორიების აღჭურვა-განახლება (შესაბამისი ტიპის გარემოს შექმნა)

ინტენსიურად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო რესურსის გაციფრულება ასევე მოეწყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ბიბლიომეტრიული ბაზებისა და მათი გამოყენების შესახებ.

➢ ამოცანა - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით შეფასების მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება

➢ აქტივობა - უნივერსიტეტის მისიასთან პროფესიული პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;

➢ ამოცანა - ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

➢ აქტივობა - მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ დანერგვა

ეტაპობრივად საჭიროებიდან გამომდინარე ახლდებოდა/უმჯობესდებოდა და იქმნებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.

უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ადმინისტრირების ხარისხის იდენტიფიცირება. ანალიზდება კვლევის შედეგები შემდგომი რეაგირების მიზნით,

პროფესიული განვითარების მიზნით გაიარეს ტრენინგი პროგრამის სატყეო საქმის პროფესიულ მასწავლებლებმა თემაზე; „სწავლების მეთოდოლოგია, შედეგებზე ორიენტირებულად სწავლა -სწავლების დაგეგმვა და განვითარების პრინციპები,პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასება“

პერიოდულად მიმდინარეობს ვალიდაცია ვერიფიკაციის პროცესი.

საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.GEORGIA-ს ფარგლებში.

მივიღეთ მონაწილეობა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის გზით პროფესიულ განათლებაში ინოვაციური მართვის, სწავლა-სწავლების, სტუდენტური სერვისებისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობას, სადაც შეირჩა კანდიდატურა, რომელიც გაემგზავრა გერმანიაში, რომლის შემდეგ მოხდა შთაბეჭდილებების გაზიარება.

➢ ამოცანა - პროფესიული სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების ხელშეწყობა

➢ აქტივობა- უნივერსიტეტის სახელით სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო სექტორთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან

➢ ამოცანა - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება/ამოქმედება არასამთავრობო, სამთავრობო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით

➢ აქტივობა - საზოგადოების ინტეგრაციის ხელშემწყობი მექანიზმების გააქტიურება;

პერიოდულად იმართება სტუდენტებთან საუბრები საქართველოს ისტორიაზე, ინტელექტუალური თამაშები რა, სად, როდის, ეწყობა პოეზისს საღამოები -სადაც აქტიურად არიან ჩართული სომეხი სტუდენტები.

ღონისძიებების ჩამონათვალი რომელიც გაიმართა უნივერსიტეტში სადაც აქიურად იყვნენ ჩართული პროფესიული სტუდენტები

17 დეკემბერს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ანა კალანდაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება.
10 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა გამართა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსმა, პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ, ფილოლოგიის დოქტორმა ნათია კენჭიაშვილმა და დოქტორანტმა ნინო ნოზაძემ.

26 -27 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხისა და ახალქალაქის კორპუსებში სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრის კონსულტანტებმა: მთვარისა ქურციკიძემ და ქრისტინა კაზარიანმა.
სჯსუს სტუდენტებმა შეხვედრაზე მიიღეს ინფორმაცია სააგენტოს პროგრამებსა და სერვისებზე, რომლებიც დაეხმარება მათ კარიერულ განვითარებასა და სამუშაო ადგილების მოძიებაში, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მათ სწრაფ და დროულ ინტეგრირებას.
დასასრულისკენ შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე ამომწურავი პასუხები მიეღოთ.

6 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გასაცნობად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ალათუმანის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ;

2024 წლის 30 ივლისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სჯსუში დაფუძნებული აფხაზური ცენტრის ,,მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიება ,,მოვისმინოთ აფხაზთა ხმა ახალციხეში“.

1 ივლისი, 2024 “სამოქალაქო ჩართულობის სკოლა 2024”-ის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა: ჰასმიკ ბაღდასარიანმა, დაიანა გრიგორიანმა და ილია ცინაძემ სჯსუ-ს სტუდენტებთან განახორციელეს პროექტი “ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირება საზოგადოებრივ ურთიერთობებში”.
სპიკერად მოწვეული იყო სახალხო დამცველის რეგიონალური აპარატის წარმომადგენელი ანდრანიკ ბაღდასარიანი.
შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ინტეგრაციის ძირითადი ბერკეტები და მათი აღმოფხვრის გზები, ეთნიკური უმცირესობების უფლებები და გამოწვევები, კულტურული მრავალფეროვნება.
შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

18 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრუფლებიანი ელჩი, რობინ დანიგანი ესტუმრა.
საპატიო სტუმარმა თავდაპირველად მონაწილეობა მიიღო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ფინანსური წიგნიერების პროექტის „ერთობა მრავალფეროვნების მეშვეობით“ ფარგლებში

2024 წლის 16 აპრილს, პროექტის "ჩვენი ჯარი" ფარგლებში მოეწყო თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეების სტუმრობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში (ახალქალაქი) და სტუდენტებთან შეხვედრა. განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით სტუდენტებთან შესახვედრად სამხედროებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ, საქართველოს თავდაცვის ძალების განათლების სარდალი , პოლკოვნიკი ზურაბ ხვიჩია და თავდაცვის ძალების მეთაურის თანაშემწე, ვიცე - პოლკოვნიკი მამუკა მესხი.

14 აპრილი დედაენის დღე, ქართული ენის - სახელმწიფო ენის დღეა.
ამ მნიშვნელოვან თარიღს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე (ახალქალაქის) კორპუსის სტუდენტებიც შეუერთდნენ რუბრიკით ,,მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა“
ამ მნიშვნელოვან თარიღს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსის (ახალქალაქი) პროფესიული პროგრამის სტუდენტებიც უერთდებიან და რუბრიკიდან ,,მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა“ მრავალი ლექსი და ამონარიდი წაიკითხეს მათთვის საყვარელი ნაწარმოებებიდან. ასევე ამ დღეს მიუძღვნეს სტუდენტებმა კალიგრაფიის კონკურსი,რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ

კომპიუტერული ქსელის და სისტემების და ბურალტრული აღრიცხვის პროგრამის სტუდენტები: ქრისტინე ოქროიანი, თინათინ ბერიძე, ანი აფოიანი და სედა მკრტიჩიანი.

ტრენინგი სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ

2025 წლის 6 მაისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე 3 კორპუსში, ახალქალაქში, პროფესიული და ბაკალავრის სტუდენტებისთვის, ასევე პედაგოგებისათვის, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისა და ნაშრომში სამეცნიერო ელექტრონული ბაზების პრაქტიკული გამოყენების შესახებ“,

ტრენინგის ორგანიზატორები იყვნენ: სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექ. ხელმძღვანელი ხათუნა კვინცხაძე და განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი მაია ქუქჩიშვილი.

შეხვედრის მსვლელობისას მონაწილები გაეცვნენ სამეცნიერო ნაშრომის მომზადების პროცესში საჭირო ტექნიკურ რეკომენდაციებს, საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე საჭირო რესურსის მოძიების პროცესს, განხილული იქნა პრაქტიკული მაგალითები და პლაგიატისაგან „დაცვის მექანიზმები“. ტრენინგის მონაწილეები აქტიურად ჩაერთვენ სწავლების პროცესში. განხორციელდება მონაწილეთა – RemoteXs –ზე (დისტანციური წვდომის პორტალი) რეგისტრაცია, ასევე დაიგეგმა ტრენინგი თემაზე: „საჭირო ბიბლიომეტრიული ბაზების რესურსებზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობები და მათი გამოყენება“.სულ ესწრებოდა 28 მონაწილე (https://sjuni.edu.ge/%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%98-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%ae%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%9d-%e1%83%91%e1%83%90%e1%83%96%e1%83%94/)

მაისის თვეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის კორპუსში, საინფორმაციო შეხვედრაზე სტუმრად იმყოფებოდნენ ახალქალაქის ილია ჭავჭავაძის სახელობის N3 და სოფელ ვაჩიანის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები.
🔷ვიზიტის მიზანი იყო მოსწავლეებს მიეღოთ დეტალური ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და უნივერსიტეტში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.
🔷მოსწავლეებმა დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა, სასწავლო სივრცეები, გაეცნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც სრული სახელმწიფო დაფინანსებითაა და თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებია.
🔷მოსწავლეებს მეგზურობას უწევდა სჯსუს პროფესიული განათლების მიმართულების უფროსი სპეციალისტი ქეთევან მელიქიძე.